საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის
თავისუფალი მეცნიერებების პროგრამის
კონკურსის, შემოქმედებითი ტურის სახით, მოთხოვნები
2025 წლის მიღებისათვის

მუხლი 1. რეგულირების სფერო

1.1. თავისუფალი მეცნიერებების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღების ორი წინაპირობა არის:
1.1.1 კონკურსის - შემოქმედებითი ტურის სახით (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 18 თებერვლის #19/ნ ბრძანების „ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების დებულებისა და სახელმწიფო სასწავლო გრანტის განაწილების წესის დამტკიცების შესახებ“ #1 დანართის მე-13 მუხლის მე-3 პუნქტის „პ“ ქვეპუნქტის საფუძველზე) - წარმატებით დაძლევა - (იხ. მუხლი 2) და
1.1.2. ერთიანი ეროვნული გამოცდები (სამი სავალდებულო საგანი: 1. მათემატიკა ან ისტორია 2. ქართული ენა და ლიტერატურა, 3. უცხო ენა).

1.2. სამი მისაღები გამოცდის (მათემატიკა ან ისტორია) ქართული ენა და ლიტერატურა, უცხო ენა) შეფასების წონები, აბიტურიენტის საბოლოო შეფასებისათვის, დგინდება კანონმდებლობის შესაბამისად.

1.3. საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის თავისუფალი მეცნიერებების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩასარიცხად ერთიანი ეროვნული გამოცდების კონკურსში მონაწილეობას მიიღებენ <u>მხოლოდ</u> ის აბიტურიენტები, რომლებიც წარმატებით დაძლევენ კონკურსს - შემოქმედებით ტურს (იხ. მუხლი 2).

1.4. საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის თავისუფალი მეცნიერებების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩაირიცხებიან მხოლოდ ის აბიტურიენტები, რომლებიც წარმატებით დაძლევენ კონკურსს, შემოქმედებითი ტურის სახით, და ერთიანი ეროვნული გამოცდების სამ გამოცდას (მათემატიკა ან ისტორია, ქართული ენა და ლიტერატურა, უცხო ენა).

1.5. კონკურსის - შემოქმედებითი ტურის გავლის გარეშე, მხოლოდ ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად არ ჩაირიცხებიან თავისუფალი მეცნიერებების პროგრამაზე.

1.6. კონკურსის - შემოქმედებითი ტურის წარმატებულით დაძლევად ჩაითვლება სამივე ეტაპის ჯამურად წარმატებით დაძლევა (იხ. მუხლი 2).

1.7. აბიტურიენტებს კონკურსის - შემოქმედებითი ტურის სამივე ტურის (იხ. 1.9.) შედეგები ეცნობებათ ჯამურად.

1.8. იმ აბიტურიენტების სია, რომლებმაც მე-2 მუხლის შესაბამისად, წარმატებით დაძლიეს კონკურსი, შემოქმედებითი ტურის სახით, გადაეგზავნება „შეფასებისა და გამოცდების ეროვნულ ცენტრს“, რათა საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის თავისუფალი მეცნიერებების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩასარიცხად ერთიანი ეროვნული გამოცდების კონკურსში მონაწილეობა მიიღონ მხოლოდ ამ აბიტურიენტებმა.

1.9. პერსონალური ინფორმაციის დაცვის სტანდარტის გათვალისწინებით აბიტურიენტის შუალედური შეფასებები და კონკურსი - შემოქმედებითი ტურის საბოლოო შედეგები არ ხდება საჯარო და ეცნობება მხოლოდ აბიტურიენტს და ეროვნული გამოცდების მიზნებისათვის შეფასებისა და გამოცდების ეროვნულ ცენტრს, ეროვნული გამოცდების მიზნებისათვის.

1.10. კონკურსი - შემოქმედებითი ტური ტარდება სამ ეტაპად:
1.10.1. I ეტაპი: ტესტი მნემონიკაში;
1.10.2. II ეტაპი: ტესტი სახვით გრაფიკაში, ხაზვასა და გეომეტრიის ელემენტებში;
1.10.3. III ეტაპი: ტესტი დეკლამირებაში.

1.11. რექტორის ბრძანებით დგება კომისია, რომლის წევრების დამოუკიდებელი და კონფიდენციალური შეფასებების საფუძველზე და შემდეგ საშუალო შეფასების გამოთვლის შედეგად დგინდება აბიტურიენტის ფორმალური საბოლოო შეფასება.

1.12. კონკურსის ეტაპებზე მონაწილეობისთვის აბიტურიენტმა უნდა წარმოადგინოს მოქმედი პირადობის დამადასტურებელი მოწმობა ან პასპორტი. ამის გარეშე აბიტურიენტები კონკურსის ეტაპებზე/ტესტებზე არ დაიშვებიან.

მუხლი 2. კონკურსის - შემოქმედებითი ტურის შეფასების სისტემა

2.1. კონკურსის - შემოქმედებითი ტური, საერთო ჯამში, ფასდება 100 ქულიანი სისტემით, რომლითაც დგინდება აბიტურიენტების რეიტინგი:
2.1.1. არადამაკმაყოფილებელი - 0-50 ქულა;

2.1.2. დამაკმაყოფილებელი - 51-73 ქულა;
2.1.3. კარგი - 74-88 ქულა;
2.1.4. ძალიან კარგი - 89-100 ქულა.

2.2. ეტაპების მიხედვით წონები გადანაწილდება შემდეგი პროპორციით:

2.2.1. I ეტაპი: ტესტი მნემონიკაში - 45 ქულა;
2.2.2. II ეტაპი: ტესტი სახვით გრაფიკაში, ხაზვასა და გეომეტრიის ელემენტებში - 35 ქულა;
2.2.3. III ეტაპი: ტესტი დეკლამირებაში - 20 ქულა.

2.3. კონკურსის - შემოქმედებითი ტურის კომპეტენციის ზღვარს წარმოადგენს ჯამური 51 ქულა.

მუხლი 3. დავალება მნემონიკაში (45 ქულა)

3.1. მნემონიკა (სხვაგვარად, ცნობილია, როგორც „ციცერონის“ ან „ადგილების მეთოდით“): სხვადასხვა ინფორმაციის (შემოქმედებითი ტურისთვის - მხოლოდ სიტყვებისა და ტექსტის) დამახსოვრებისა და შეხსენების ხელოვნური მეთოდი, რომელიც ეფუძნება ვიზუალურ ასოციაციებსა და ერთჯერადად დამახსოვრებულ წარმოსახვით ან ნამდვილ მარშრუტს. ამ დავალების მიზანია აბიტურიენტის წარმოსახვის უნარის, თვითდისციპლინის (საკუთარ თავზე მუშაობის), არასტანდარტული აზროვნების შეფასება.

3.2 მნემონიკის ტურზე:
- გამომცდელი აბიტურიენტებს მხოლოდ ერთხელ უკარნახებს 50 სიტყვიან ინგლისურ ტექსტს (ან აბიტურიენტისთვის მისაღებ სხვა რომელიმე უცხოენოვან ტექსტს; იხ. 6.11.).
- კარნახისას გამომცდელი ყოველი წინა და ყოველი მომდევნო სიტყვის შორის დაიცავს 30-წამიან ინტერვალს და ყოველი სიტყვის ნომერსაც (ტექსტში რიგითობას) უკარნახებს აბიტურიენტებს.
- აბიტურიენტების ამოცანაა მნემონიკის გამოყენებით ტექსტი დაიმახსოვრონ ზუსტად - როგორც ყველა, ორმოცდაათივე სიტყვა, ისე ყოველი სიტყვის ნომერი (ტექსტში რიგითობა).
- კარნახის დასრულების შემდეგ აბიტურიენტმა მეხსიერებით უნდა ჩამოწეროს ყველა დამახსოვრებული სიტყვა თანმიმდევრობის დაცვით და აგრეთვე ყოველ სიტყვას წინ დაუწეროს ნომერი (ტექსტში რიგითობა).

3.3 ნაკარნახები ტექსტის ჩაწერა აბიტურიენტების მიერ არ ხდება, არც ანალოგურად (საწერი საშუალებებით), არც დიგიტალურად (აუდიო-ჩანაწერით).

3.4 უმნიშვნელო ფონეტიკური უზუსტობები (არაზუსტად განაგონი ან ჟღერადობით მსგავსი სიტყვა, მაგ. *man* და *men*) შეცდომად არ მიიჩნევა. მართლწერა არ მოწმდება და არ ფასდება.

3.5. ეს დავალება ფასდება შემდეგნაირად:

3.5.1. ნაწერი (ჩამოწერილი და დანომრილი სიტყვები), რომელიც ზუსტად ან თითქმის ზუსტად გადმოსცემს ერთხელ მოსმენილ ტექსტსაც და სიტყვების რიგითობასაც (ნუმერაციას) ფასდება 41-45 ქულით;
3.5.2. ნაწერი (ჩამოწერილი და დანომრილი სიტყვები) დიდწილად ზუსტად გადმოსცემს მნემონიკის ტექსტს და სიტყვების რიგითობაც (ნუმერაციას) ფასდება 40-36 ქულით;
3.5.3. ნაწერი (ჩამოწერილი და დანომრილი სიტყვები) დამაკმაყოფილებლად გადმოსცემს მნემონიკის ტექსტს და სიტყვების რიგითობას (ნუმერაციას) 35-29 ქულით;
3.5.4. ნაწერი (ჩამოწერილი და გადანომრილი სიტყვები) არადამაკმაყოფილებლად გადმოსცემს მნემონიკის ტექსტს და სიტყვების რიგითობას (ნუმერაციას) 0-28 ქულით.

მუხლი 4. დავალება სახვით გრაფიკაში (35 ქულა)

4.1 დავალებას სახვით გრაფიკაში წარმოადგენს: 4 განსხვავებულ გეომეტრიულ სხეულს სხვადასხვა სირთულით კვეთს სიბრტყე. მოცემული სიბრტყისა და გეომეტრიული სხეულის კვეთა წარმოადგენს მრავალკუთხედს/პოლიგონს. ამოცანის პირობაში, თითოეული გეომეტრიული სხეულისათვის, გამოსახულია ამ მრავალკუთხედის/პოლიგონის მხოლოდ 2 გვერდი, მოცემული გეომეტრიული სხეულის 2 წახნაგზე. ამ მრავალკუთხედის გეომეტრიული სხეულის 2 წახნაგზე მოცემული წარმოსახვითი პოლიგონის 2 გვერდის მიხედვით აბიტურიენტმა ფანქრით და ხელით (სახაზავი ხელსაწყოების გამოყენების გარეშე) თითოეული გეომეტრიული სხეულისათვის უნდა დაასრულოს კვეთის შედეგად მიღებული მრავალკუთხედი/პოლიგონი.

4.2. 4 გეომეტრიული სხეულიდან 2 არის რთული, 1 საშუალო სირთულის და 1-იც მარტივი.

4.3. ეს დავალება ფასდება შემდეგნაირად:
ფასდება კვეთაში მიღებული მრავალკუთხედის/პოლიგონის პოვნის გეომეტრიული მეთოდის სისწორე:
4.3.1. ყველა სირთულის კვეთის უნაკლოდ ან თითქმის უნაკლოდ შესრულება - 30-35 ქულა;
4.3.2. მხოლოდ რთული ან რთული და საშუალო, ან რთული, საშუალო და მარტივი კვეთების უნაკლოდ შესრულება - 24-29 ქულა;

4.3.3. საშუალო სირთულისა და მარტივი კვეთების უნაკლოდ შესრულება - 18-23 ქულა;
4.3.4. საშუალო სირთულის კვეთების უნაკლოდ შესრულება - 12-17 ქულა;
4.3.5. მარტივი სირთულის კვეთების უნაკლოდ შესრულება - 6-11 ქულა;
4.3.6. ყველა დავალების ხარვეზით შესრულება ან შეუსრულებლობა - 0-5 ქულა.

მუხლი 5. დავალება დეკლამირებაში (20 ქულა)

5.1. მნემონიკით დასწავლილი ტექსტის ზეპირად და დეკლამირებისთვის მოსამზადებლად აბიტურიენტს ეძლევა, სულ მცირე, 20 საათი, რაც გადაითვლება მნემონიკის ტესტის დასრულებიდან.

5.2. აბიტურიენტს ეძლევა დეკლამირებისთვის ჩასაბარებლად ამობეჭდილი ტექსტი, რაც იგივე, მნემონიკის ტესტზე ჩაბარებული ტექსტია (იხ. 3.2.).

5.3. აბიტურიენტის მიერ მნემონიკით ჩაბარებული ტექსტის დეკლამირებისას ფასდება:

5.3.1. ტექსტის ცოდნის ხარისხი - 0-4 ქულა:
5.3.1.1. ტექსტის უნაკლოს ცოდნა - 4 ქულა;
5.3.1.2. ტექსტის კარგად ცოდნა - 2-3 ქულა;
5.3.1.3. ტექსტის დამაკმაყოფილებლად ცოდნა - 1 ქულა;
5.3.1.4. ტექსტის არადამაკმაყოფილებლად ცოდნა - 0 ქულა.

5.3.2. სასცენო სითამამე - 0-4 ქულა:
5.3.2.1. უნაკლო სასცენო სითამამე - 4 ქულა;
5.3.2.2. კარგი სასცენო სითამამე - 2-3 ქულა;
5.3.2.3. დამაკმაყოფილებელი სასცენო სითამამე - 1 ქულა;
5.3.2.4. არადამაკმაყოფილებელი სასცენო სითამამე - 0 ქულა.

5.3.3. დეკლამირებისას ლოგიკური მახვილები, პაუზები და ინტონაცია - 0-4:
5.3.3.1. უნაკლო ლოგიკური მახვილები, პაუზები და ინტონაცია - 4 ქულა;
5.3.3.2. კარგი ლოგიკური მახვილები, პაუზები და ინტონაცია - 2-3 ქულა;
5.3.3.3. დამაკმაყოფილებელი ლოგიკური მახვილები, პაუზები და ინტონაცია- 1 ქულა;
5.3.3.4. არადამაკმაყოფილებელი ლოგიკური მახვილები, პაუზები და ინტონაცია- 0 ქულა.

5.3.4. შესატყვისი ტემპი - 0-4 ქულა;
5.3.4.1. უნაკლო ტემპი - 4 ქულა;
5.3.4.2. კარგი ტემპი - 2-3 ქულა;

5.3.4.3. დამაკმაყოფილებელი ტემპი - 1 ქულა;
5.3.4.4. არადამაკმაყოფილებელი ტემპი - 0 ქულა.

5.3.5. როგორც ფონეტიკური, ისე აზრობრივი სიცხადე -0-4 ქულა:
5.3.5.1. უნაკლო ფონეტიკური და აზრობრივი სიცხადე - 4 ქულა;
5.3.5.2. კარგი ფონეტიკური და აზრობრივი სიცხადე - 2-3 ქულა;
5.3.5.3. დამაკმაყოფილებელი ფონეტიკური და აზრობრივი სიცხადე - 1 ქულა;
5.3.5.4. არადამაკმაყოფილებელი ფონეტიკური და აზრობრივი სიცხადე - 0 ქულა.

მუხლი 6. კონკურსის, შემოქმედებითი ტურის სახით, საორგანიზაციო საკითხები

6.1. კონკურსი მონაწილეობისათვის აბიტურიენტმა უნდა შეავსოს სარეგისტრაციო განაცხადი, რომელიც ტესტების დაწყებამდე სათანადო დროით ადრე განთავსება უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე.

6.2. კონკურსში მიიღებენ მონაწილეობას მხოლოდ ის აბიტურიენტები, რომლებიც სარეგისტრაციო განაცხადს შეავსებენ.

6.3. აბიტურიენტი, რომელიც არ გამოცხადდება კონკურსის - შემოქმედებითი ტურის ერთ-ერთ რომელიმე ეტაპზე არ შეფასდება და კონკურსს გამოეთიშება. დაგვიანება ფასდება, როგორც გამოუცხადებლობა.

6.4. კონკურსის ეტაპებზე მონაწილეობისთვის აბიტურიენტმა უნდა წარმოადგინოს მოქმედი პირადობის დამადასტურებელი მოწმობა ან პასპორტი. ამის გარეშე აბიტურიენტები კონკურსის ეტაპებზე არ დაიშვებიან.

6.5. კონკურსის ეტაპები ტარდება ორ დღეს: ერთ დღეს I (მნემონიკის ტესტი) და II (სახვითი გრაფიკის ტესტი) ეტაპები, მხოლოდ სხვა დღეს III ეტაპი (დეკლამირების ტესტი).

6.6. I (მნემონიკის ტესტი) და II (სახვითი გრაფიკის ტესტი) ეტაპები ტარდება ყველა აბიტურიენტისათვის ერთდროულად აგრარული უნივერსიტეტის საგამოცდო ცენტრში. ტესტების დაწყების დროს აბიტურიენტებს სათანადო დროით ადრე ეცნობებათ.

6.7. I (მნემონიკა) და II (სახვითი გრაფიკის ტესტი) ეტაპების ხანგრძლივობა არის 90 წუთი. შესვენება ტესტებს შორის იქნება მინიმუმ 1 საათი.

6.8. საგამოცდო ცენტრში აბიტურიენტებმა უნდა დაიცვან საგამოცდო წესები. ხმაურის, გადალაპარაკების, გამომცდელების და დამკვირვებლების მიმართ დაუმორჩილებლობა და ურთიერთდახმარების მცდელობა საფუძველია აბიტურიენტების კონკურსიდან მოხსნის. კონკურსიდან მოხსნილი აბიტურიენტების ნამუშევრები არ შეფასდება.

6.9. აკრძალულია საგამოცდო ცენტრში ისეთი მოწყობილობების ფლობა (მობილური ტელეფონი, სმარტ-საათი, ყურსასმენები, დიქტოფონი და სხვა), რომლებითაც შესაძლებელია ჩაწერა ან/და საგამოცდოს გარე სამყაროსთან კომუნიკაცია. ტესტების ადმინისტრატორები, ტესტის დაწყებამდე, აბიტურიენტებს მიუთითებენ ასეთი მოწყობილობების შენახვას, სათანადოდ გამოყოფილ უსაფრთხო ადგილას.

6.10. აკრძალული ნივთების ფლობა (არ არის აუცილებელი გამოყენების დადგენა) ტესტების მიმდინარეობისას არის აბიტურიენტის კონკურსიდან მოხსნის საფუძველი. კონკურსიდან მოხსნილი აბიტურიენტების ნამუშევრები არ შეფასდება.

6.11. III ეტაპი (დეკლამირების ტესტი) ტარდება ინდივიდუალურად. მისი ტესტის დაწყების დროს აბიტურიენტს ეცნობება ინდივიდუალურად, სათანადო დროით ადრე.

6.12. I ეტაპის (მნემონიკის ტესტი) დროს საგამოცდო აუდიტორიაში 50-სიტყვიანი ტექსტის აბიტურიენტებისთვის წაკითხვის შემდეგ (დაახლოებით 30 წუთი), აბიტურიენტებს ურიგდებათ საგამოცდო ფურცლები, ფანქრები და საშლელები და ეძლევათ ერთი საათი ტექსტის ჩამოსაწერად და სიტყვების გადასანომრად.

6.13. I ეტაპის (მნემონიკის დავალების) ტექსტი ინგლისურენოვანია. თუკი აბიტურიენტი სხვა უცხო ენაზე მოისურვებს ტესტის ჩაბარებას, მან უნდა განაცხადოს ამის თაობაზე სარეგისტრაციო განაცხადში. მნემონიკის არაინგლისურენოვანი ტესტები ჩატარდება განცალკევებულად.

6.14. II ეტაპის (სახვითი გრაფიკის ტესტი) დროს საგამოცდო აბიტურიენტებს ურიგდებათ საგამოცდო ფურცლები, ფანქრები და საშლელები და ეძლევათ 90 წუთი.

6.15. I (მნემონიკა) და II (სახვითი გრაფიკის ტესტი) ეტაპების დავალებები უნდა შესრულდეს საგამოცდო ფურცლებზე. სხვა ფურცლებზე შესრულებული ნამუშევრების არ შეფასდება.

6.16. III ეტაპის (დეკლამირების ტესტი) ტექსტი აბიტურიენტებს ურიგდებათ II ეტაპის (სახვითი გრაფიკის ტესტი) დასრულების შემდეგ.